

საქართველოს ხელისუფლების საჯარო რიტორიკა - რუსული პროპაგანდის მინი მოდელი

დავით ქუტიძე¹

პროპაგანდა და რუსული საინფორმაციო ომი

პროპაგანდა მასობრივ კომუნიკაციაში, პოლიტიკასა თუ სხვა მომიჯნავე სფეროებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტერმინია. ამავდროულად, მისი ზუსტი და სრულყოფილი განმარტება საკმაოდ დიდი გამოწვევაა. რთულია მისი იდენტიფიცირებაც, რადგან ის წინასწარ ჩამოყალიბებული, კარგად დალაგებული გზავნილებისგან შედგება, სადაც ფაქტები, მოსაზრებები და მანიპულაცია ერთმანეთშია არეული. პროპაგანდა სხვადასხვა ფორმით კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე არსებობდა. თუმცა, დღესდღეობით, საკომუნიკაციო არხების სიმრავლისა და კარგად განვითარებული ტექნოლოგიების პირობებში, ის უფრო აქტუალური გახდა.

კომუნიკაციების მკვლევარის, რიჩარდ ვინსენტის თქმით,² პროპაგანდა იყენებს შესაბამის საკომუნიკაციო არხებს მასობრივ აუდიტორიაზე წვდომისთვის და დარწმუნების სხვადასხვა ტექნიკის საშუალებით ცდილობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ან შეცვლას მისი გამავრცელებლის ინტერესების სასარგებლოდ. პროპაგანდას იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ლოკალურ და საერთაშორისო დონეზე, საკუთარი თუ უცხო ქვეყნის საზოგადოებრივ აზრზე სასურველი გავლენის მოსახდენად. ამასთან, პროპაგანდის მეთოდები გამოიყენება სხვადასხვა არასამთავრობო აქტორის მიერაც, საზოგადოებაში სასურველი იდეების ადვოკატირების მიზნით.

ვინსენტი წერდა, რომ ხშირად ტერმინი პროპაგანდა გაიგივებულია უკიდურესად ნეგატიურ, მანიპულაციურ ქმედებებთან, რომლის მიზანი მოქალაქეთა „ტვინების გამორეცხვაა“, როგორც ამას ჰიტლერის ან სტალინის რეჟიმები აკეთებდნენ. თუმცა, მისი

¹ კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“), საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: d.kutidze@ug.edu.ge

² Richard C. Vincent. 2006. Global Communication and Propaganda. <https://bit.ly/3MvCOW6>.

თქმით, პროპაგანდის არსი არ მოიცავს მხოლოდ ამ ნეგატიურ დატვირთვას და მისი ცალკეული კომპონენტები შეიძლება გამოყენებული იყოს პოზიტიური ცვლილებებისთვისაც რაც, მაგალითად, გულისხმობს პატრიოტული სულისკვეთების ამღლებას, სხვადასხვა სამოქალაქო მოძრაობის გაძლიერებას და ა.შ. გარკვეულ დონეზე პროპაგანდას ყველა სამთავრობო თუ არასამთავრობო აქტორი ეწევა, რათა საზოგადოება თავისი იდეების სასარგებლოდ და მართებულობაში დაარწმუნოს. პროპაგანდის ტექნიკების ასეთი გამოყენება კი, უფრო ემსგავსება თანამედროვე საერთაშორისო კომუნიკაციაში დამკვიდრებულ სახალხო დიპლომატიის იდეას. არსებითად, სახალხო დიპლომატია გულისხმობს ერთგვარ სიმართლეზე დაფუძნებულ პროპაგანდას, სადაც შესაძლოა გარკვეული საკითხები შელამაზებულად იქნას წარმოჩენილი, თუმცა გზავნილის ძირითადი იდეა ჭეშმარიტებას და ფაქტებს ეფუძნება.³

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თანამედროვე მსოფლიოში ტერმინი პროპაგანდა დიდწილად მაინც ნეგატიური დატვირთვის მატარებელია. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ პროპაგანდის ხერხები, სხვადასხვა რეჟიმის მიერ, განსაკუთრებით კი მე-20 საუკუნეში, ე.წ. „ტვინების გამორეცხვის“ საშუალებად იქნა გამოყენებული. ამასთან, მსგავს ალქმას ხელს უწყობს თანამედროვე რუსეთის ქმედებებიც, რომელმაც პროპაგანდის გამოყენებით საზოგადოების „ტვინების გამორეცხვა“ ახალ სიმაღლეებზე აიყვანა. რუსული პროპაგანდის მკვლევარები, პომერანცევი და ვაისი აღნიშნავენ, რომ მინიმუმ 2008 წლის შემდეგ, კრემლის სამხედრო და სადაზვერვო სამსახურის მოაზროვნეები საუბრობენ არა ინფორმაციაზე როგორც დარწმუნების ხერხზე, სახალხო დიპლომატიაზე ან თუნდაც პროპაგანდაზე აქამდე ნაცნობი თვალსაზრისით, არამედ ინფორმაციაზე როგორც იარაღზე, დაბნეულობის გამოწვევის, შანტაჟის ინსტრუმენტზე, რომლის მიზანია დემორალიზება, დამხობა და პარალიზება.⁴

პომერანცევისა და ვაისის ნაშრომი დეტალურად აღწერს რუსეთის მიერ ინფორმაციის, კულტურისა და ფულის იარაღად გამოყენების (weaponization) მეთოდებს. მათი თქმით, კრემლი იყენებს ინფორმაციის თავისუფლების იდეას საზოგადოებაში დეზინფორმაციის

³ იგივე. <https://bit.ly/3MvCOW6>.

⁴ Peter Pomerantsev and Michael Weiss. Institute of Modern Russia, The Interpreter. 2014. The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money. <https://bit.ly/3vzHva0>.

გასავრცელებლად. მისი ეფექტი არ არის დარწმუნება (როგორც ეს ხდება კლასიკურ სახალხო დიპლომატიაში) ან ნდობის მოპოვება, არამედ, მისი მიზანია, შეთქმულების თეორიებით დათესოს დაბნეულობა და გაავრცელოს სიცრუე. ავტორები აღნიშნავენ, რომ ცივი ომისგან განსხვავებით, როდესაც საბჭოთა კავშირი მეტწილად მხარს უჭერდა მემარცხენე ჯგუფებს, ახლა იდეოლოგიისადმი სუფთა პრაქტიკული მიდგომა კრემლს საშუალებას აძლევს ერთდროულად მოიმხროს უკიდურესად მემარცხენე და მემარჯვენე მოძრაობები, მწვანეები, ანტიგლობალისტები და ფინანსური ელიტა. მიზანია, რომ გაამწვავოს დაყოფა და მოამწიფოს კრემლის მხარდაჭერა ამა თუ იმ საზოგადოების შიგნით. კრემლი იყენებს ლიბერალური დემოკრატიების ღიაობას, მართლმადიდებლურ ეკლესიას და ფსევდო არასამთავრობო ორგანიზაციებს თავისი აგრესიული პოლიტიკური მიზნებისთვის, ანგრევს საგამომიებო და პოლიტიკური ჟურნალისტიკის ავტორიტეტს და ცდილობს გააღვივოს უნდობლობა მედიისადმი. ინფორმაციის იარაღად გამოყენება არის თანამედროვე რუსეთის ჰიბრიდული/არაერთგვაროვანი ომის სასიცოცხლო ნაწილი, ფარული და მცირე ზომის სამხედრო ოპერაციებთან ერთად.⁵

გლებ პავლოვსკი, პოლიტიკური კონსულტანტი, რომელიც მუშაობდა პუტინის საარჩევნო კამპანიაზე ამბობს: „სსრკ-სა და ახლანდელი რუსეთის პროპაგანდას შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ საბჭოთა პერიოდში სიმართლის კონცეფცია მნიშვნელოვანი იყო. მაშინაც კი, თუ ისინი იტყუებოდნენ, ისინი ზრუნავდნენ მტკიცებაზე, რომ რასაც აკეთებდნენ „სიმართლე“ იყო. ახლა არავინ ცდილობს დაამტკიცოს „სიმართლე“. თქვენ შეგიძლიათ უბრალოდ თქვათ ყველაფერი, შექმნათ რეალობა“.⁶

ალტერნატიული რეალობის შექმნის მცდელობას კარგად ააშკარავენ BBC-ის ჟურნალისტური გამოძიება. გამომძიებელი ჟურნალისტი, რომელმაც კონკრეტული ფაქტებით ამხილა რუსული პროპაგანდისტული კამპანია აშშ-ის მიერ პოსტ-საბჭოთა სივრცეში დაფინანსებული კვლევითი ლაბორატორიების შესახებ, ასკვნის, რომ პროპაგანდა შემდეგნაირად მუშაობს - მთავარია, სრულიად უსაფუძვლოდ, პასუხისმგებლობის აღების გარეშე, დასდო ბრალი ვინმეს და საქმეც გაკეთებულია. ხოლო, როცა დეზინფორმაციის

⁵ Peter Pomerantsev and Michael Weiss. Institute of Modern Russia, The Interpreter. 2014. The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money. <https://bit.ly/3vzHva0>.

⁶ იგივე. <https://bit.ly/3vzHva0>.

წყაროს მიმართ ჩნდება კითხვა, თუ სად არის ბრალდების დამამტკიცებელი საბუთი, ისინი პასუხობენ: მსგავსი რამ არ არსებობს, მაგრამ ეს ხომ იმას არ გამოორიხავს, რომ ჩვენი ბრალდება სიმართლე არ არის?⁷

RAND Corporation-ის მკვლევრების თანახმად, რუსული პროპაგანდის მთავარი მახასიათებლებია სისწრაფე, განგრძობადობა (მუდმივ რეჟიმში გავრცელება) და ის, რომ სრულებით არ ცდილობს იყოს თანმიმდევრული, მოქმედებს რა კონკრეტული რეალობიდან გამომდინარე. ამასთან, აღნიშნული გზავნილები, რომლებიც შესაძლოა სრულიად მოწყვეტილი იყოს ობიექტურ რეალობას, ვრცელდება მრავალი სხვადასხვა არხით, რის საშუალებასაც თანამედროვე მედია და სოციალური ქსელები იძლევიან. შეიძლება ითქვას, რუსული პროპაგანდა მოქმედებს უწყვეტი ომის მდგომარეობაში, რა დროსაც არ ერიდება ყველაზე გაუგონარი კონსპირაციის თეორიების შექმნასა და გავრცელებას.⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისწრაფესთან და განგრძობადობასთან ერთად, რუსული პროპაგანდა ქმნის და ავრცელებს აბსურდულ ტყუილებს იგივე პრინციპით, რომლის გამოყენება და სრულყოფა ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრს, იოზეფ გებელსს მიეწერება. კერძოდ, თუ ტყუილი საკმარისად ხშირად, სისტემატურადაა განმეორებული, ის საბოლოო ჯამში ფართოდ იქნება მიღებული როგორც სიმართლე.⁹ რუსული პროპაგანდის მხრიდან მსგავსის მცდელობის ყველაზე ცხადი მაგალითია უკრაინაში რუსეთის შეჭრის¹⁰ შემდეგ, ქალაქ ბუჩაში საოკუპაციო ჯარის მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა (massacre), რომელსაც რუსეთი უკრაინულ მხარეს აბრალებს.¹¹

როგორც აღვნიშნეთ, დეზინფორმაციის გავრცელების მიზნით რუსეთი არაერთ განსხვავებულ ხერხს იყენებს, თუმცა მათ უმეტესობას ერთი რამ აერთიანებთ, ისინი

⁷ BBC. 2018. Russian disinformation and the Georgian 'lab of death'. <https://bbc.in/3rZEUpw>.

⁸ Christopher Paul and Miriam Matthews. RAND Corporation. 2016. The Russian "Firehose of Falsehood" Propaganda Model. <https://bit.ly/3kmnL4X>.

⁹ Richard C. Vincent. 2006. Global Communication and Propaganda. <https://bit.ly/3kwwMtc>.

¹⁰ The Economist. 2022. Ukraine at war. <https://econ.st/3Kug2fv>.

¹¹ ლიკა ხუციბერიძე. FactCheck საქართველო. 2022. დეზინფორმაცია: რუსეთმა გაეროს წარუდგინა კონკრეტული მტკიცებულებები უკრაინის ხელისუფლების მიერ ბუჩაში საკუთარი მოქალაქეების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. <https://bit.ly/3vRzX36>.

დაფუძნებულნი არიან ნეგატივზე. რუსული პროპაგანდის მსგავსად, მანიპულაციური ბრალდებები და მტრის ხატის შექმნის მცდელობები, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების რიტორიკაშიც შეინიშნება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევია „ქართული ოცნების“ მმართველობის ბოლო წლებში და უფრო ინტენსიური ხდება სხვადასხვა კრიზისული სიტუაციის დროს. ამ ყველაფრის საილუსტრაციოდ, ქვემოთ მიმოვიხილავთ აკადემიურ ლიტერატურაში ცნობილ პროპაგანდისტულ ხერხებს, რის შემდეგაც წარმოდგენილი იქნება რუსული პროპაგანდის მიერ მათი პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, ხოლო მეორე მხრივ, წარმოვადგენთ საქართველოს ხელისუფლების საჯარო განცხადებებს.

პროპაგანდის მეთოდების გამოყენება პრაქტიკაში - მაგალითები ქართული რეალობიდან და მსგავსება რუსულ პროპაგანდასთან

პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მარტივი ხერხი იარლიყების მიკვრაა (**name calling**). ის გულისხმობს ადამიანის, ჯგუფის თუ იდეის მიმართ დადებითი ან უარყოფითი იარლიყის მიწებებას. უმეტეს შემთხვევაში, ის უარყოფით კონტექსტში გამოიყენება. ამასთან, პროპაგანდის ამ ხერხის მიზანია, ინფორმაციის მიმღების დემოტივაცია, რათა მან არ გამოიკვლიოს, თუ რა ფაქტები დგას ამა თუ იმ იარლიყის მიღმა, ანუ ემოციებმა გადაფაროს არგუმენტირებული მსჯელობა. მას იყენებენ ოპონენტების ნეგატიური ხატის შესაქმნელად, სხვადასხვა სტერეოტიპის შექმნითა და განვითარებით. ამ ტექნიკის მთავარი მიზანი აუდიტორიის ემოციებით მანიპულირება და მათ საფუძველზე მიღებული ნაჩქარევი, ზედაპირული დასკვნების პროვოცირებაა.¹² რუსული პროპაგანდა ზემოხსენებულ ხერხს ხშირად იყენებს. ამის ყველაზე ახალი და თვალსაჩინო მაგალითი პუტინის რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულ ომს უკავშირდება. ომის დაწყებამდე და მის შემდეგაც, რუსეთის ხელისუფლება და მისი პროპაგანდისტული არხები უკრაინის ლეგიტიმურად არჩეულ ხელისუფლებას ნაცისტებად/ნეო-ნაცისტებად და ფაშისტებად მოიხსენიებენ.¹³ უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებული ომის ერთ-ერთი

¹² Richard C. Vincent. 2006. Global Communication and Propaganda. <https://bit.ly/3hY1s4E>.

¹³ Robert Horvath. THE CONVERSATION. 2022. Putin's fascists: the Russian state's long history of cultivating homegrown neo-Nazis. <https://bit.ly/3OPwoTC>.

ოფიციალური მიზეზი კი, რომელიც ოკუპანტი ქვეყნის ხელისუფლებამ „სპეციალურ ოპერაციად“ მონათლა, სწორედ უკრაინის „დენაციფიკაცია“ იყო. აღნიშნული ტერმინი იმდენად უშიშარსო და ბუნდოვანია, რომ, შეიძლება ითქვას, მისი ახსნა თავად კრემლშიც უჭირთ.¹⁴ თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარია არა რაიმე ტიპის გონივრული ახსნა, არამედ პროპაგანდის მიმართ მოწყვლადი აუდიტორიის (დიდწილად შიდა აუდიტორიის, რუსეთის მოქალაქეების) ემოციებით მანიპულირება, მათში შიშის გაღვივება და ამ გზით საღი აზრის განეიტრალება.¹⁵ ომის დაწყების წინ აღნიშნული ტერმინი არაერთხელ გამოიყენა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უშუალოდ უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმერ ზელენსკის მიმართ, რომელსაც, თავის მხრივ, ებრაული ფესვები აქვს და მისთვის ნაცისტის იარლიყის მიკვრა აბსურდულობასთან ერთად ცინიზმის ნათელი გამოვლინებაცაა. პუტინის კიდევ ერთი იარლიყი უკრაინის ხელისუფლების მიმართ „ნარკოდამოკიდებულთა ბანდაა“.¹⁶ ყოველგვარ მტკიცებულებას მოკლებული ეს იარლიყი წარმოადგენს დისკრედიტაციის მძლავრ იარაღს, თამაშობს რა აუდიტორიის სტერეოტიპულ და ნეგატიურ დამოკიდებულებაზე ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ.

ნარკოდამოკიდებულების თემა ცოტა ხნის წინ, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე, საკმაოდ აქტუალური იყო ქართულ პოლიტიკაშიც. აღნიშნული დისკუსია მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“ გახსნა. პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ყოფილი თანაგუნდელი, ხოლო შემდგომ უკვე ოპოზიციური პარტიის ლიდერი გიორგი გახარია, დაუსაბუთებლად, ნარკოტიკის მომხმარებლად გამოაცხადა. მან გახარიას „კოკაინშიკი“ უწოდა.¹⁷ აღნიშნული იარლიყის უკიდურესად ნეგატიური პროპაგანდის მიზნებისთვის გამოყენება იმდენად აშკარა იყო, რომ კობახიძის ამ განცხადებამ „ქართული ოცნების“ ზოგიერთ მოქმედ წევრსაც კი შეუქმნა უხერხულობა იგივე გაემეორებინა.¹⁸ თუმცა, ამ განცხადებამდე მომხდარმა მოვლენებმა, როცა თბილისის მერობის კანდიდატმა კახა

¹⁴ რეალპოლიტიკა. 2022. 'კრემლი დენაციფიკაციას' აღარ გამოიყენებს, რადგან რუსებს სიტყვის მნიშვნელობა არ ესმით. <https://bit.ly/3wnqjfl>.

¹⁵ The Economist 1843 magazine. 2022. What Vladimir Putin misunderstood about Ukrainians. <https://econ.st/3F61z8F>.

¹⁶ The Print. 2022. Putin calls Kyiv leadership 'gung of drug addicts', urges Ukraine army to overthrow leadership. <https://bit.ly/300Aknz>.

¹⁷ ტელეკომპანია კავკასია. 2021. „კოკაინშიკი, მოღალატე და ჭანჭიკი“ - გახარია კობახიძეს არ პასუხობს. <https://bit.ly/39vSzhz>.

¹⁸ ნინო ჩიჩუა. ნეტგაზეთი. 2021. „ეს ფაქტის კონსტანტაციაა და არა დაბრალება“ - კობახიძე გახარიას ნარკოდამოკიდებულებაზე. <https://bit.ly/39p1wZP>

კალაძემ, სრულიად უკონტექსტოდ და მოულოდნელად ნარკოტესტი გაიარა და ოპონენტებსაც იგივე ქმედებისკენ მოუწოდა, ასევე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ორაზროვანმა განცხადებებმა ამ თემის მიმართ, ცხადად აჩვენა, რომ აღნიშნული იარლიყი შესაბამისად დაგეგმილი ნეგატიური პროპაგანდის შედეგი იყო.¹⁹ მისი მიზანი კი, პუტინის რუსეთის პროპაგანდის მსგავსად, საზოგადოებაში წამალდამოკიდებული ადამიანების მიმართ არსებული ნეგატიური განწყობებით თამაში გახლდათ.

„ქართული ოცნების“ რიტორიკის რუსულ პროპაგანდასთან მსგავსება, კერძოდ, ნეგატიური იარლიყების გამოყენება ოპონენტების მიმართ, ნათლად წარმოაჩინა რუსეთ-უკრაინის ომმა. ომის დაწყებასთან ერთად, ხელისუფლების ოპონენტებსა და საზოგადოების ნაწილში გაჩნდა აზრი, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიციონირება საერთაშორისო არენაზე უკრაინის მხარდაჭერის კუთხით, განსაკუთრებით რიტორიკის ნაწილში, არასაკმარისია.²⁰ აღნიშნული აზრის საპირისპიროდ, „ქართულ ოცნების“ წარმომადგენელთა განცხადებებში გამოჩნდა იარლიყი „ომის პარტია“, რომელიც პირველად „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ იქნა გამოყენებული, ხოლო შემდეგ ფაქტობრივად ყველა იმ ადამიანის, ვინც რუსეთ-უკრაინის ომის დროს საქართველოს ხელისუფლების პოზიციას აკრიტიკებს. აღნიშნული ტერმინი დაფუძნებულია იმ მცდარ, მანიპულაციურ, თუმცა საზოგადოებაში კარგად გამჯდარ ნარატივზე, რომ 2008 წელს რუსეთთან ომის აცილება შესაძლებელი იყო და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეს არ/ვერ გააკეთა.²¹ თუმცა, შემდგომ ეს ნარატივი გასცდა „ნაციონალური მოძრაობას“ და გამოიყენეს სხვა პოლიტიკური პარტიების (რომლებიც 2008 წელს არც კი არსებობდნენ) და სახალხო დამცველის წინააღმდეგაც. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, „ქართული ოცნების“ ლიდერების რამდენიმე განცხადებაც კმარა.

ირაკლი კობახიძე: „საქართველოში მოქმედებს ომის პარტია, რომლის ერთადერთი მიზანია საქართველო ჩართოს სამხედრო კონფლიქტში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ფარული კამპანია, რომელიც სანქციებთან და მოხალისეების გაგზავნასთან დაკავშირებით

¹⁹ რადიო თავისუფლება. 2021. კობახიძის განცხადებით, გახარია კოკაინს არ მოიხმარდა „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს. <https://bit.ly/3MuR9Cj>

²⁰ დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2022. პუტინის რუსეთის ომი უკრაინაში, საქართველოს ხელისუფლების შიშები და ორმაგი სტანდარტები. <https://bit.ly/3OQFvUg>

²¹ დავით ბატაშვილი. FactCheck საქართველო. 2016. 2008 წლის ომი: ნაკლებად ცნობილი დეტალები. <https://bit.ly/3OTqm4w>

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ მოქმედებს. საზოგადოებას კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ, რომ სამხედრო კონფლიქტში საქართველოს ჩართვა, რაც სურს ომის პარტიას, იქნება უმძიმესი შედეგების მომტანი. შესაბამისად, ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რათა ქვეყანას და ქართველ ხალხს ომი და მისი გამოუსწორებელი შედეგები ააცილოს თავიდან”.²²

ირაკლი ღარიბაშვილი: „ერთი წამით რომ წარმოვიდგინოთ, ბიძინა ივანიშვილს რომ არ მოეშორებინა ეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული, ქვეყნის დამლუპველი და გამანადგურებელი ძალა სააკაშვილის მეთაურობით, დღეს, გარანტიას გაძლევთ, ისევ სააკაშვილი იქნებოდა ხელისუფლებაში და იქნებოდა მეორე მარიუპოლი“.²³

„ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ მკაფიო განცხადება გააკეთა, რომ „ომის პარტიების“ არც ერთ ინიციატივას საგარეო საკითხებზე არა თუ არ განვიხილავთ, არამედ სერიოზულადაც კი არ მივიღებთ“, - ასეთი იყო ხელისუფლების კიდევ ერთი წარმომადგენლის, სოზარ სუბარის პასუხი უკრაინასთან დაკავშირებით პარტია „ლელოს“ მიერ მომზადებულ რეზოლუციის პროექტზე.²⁴

ირაკლი კობახიძე: „სახალხო დამცველი არის იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, რომელსაც „ომის პარტია“ ჰქვია“. ამასთან, კობახიძის თქმით, ყველა, ვინც, ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანას ითხოვს, მათ შორის სახალხო დამცველი, არის იმ განზრახვის ნაწილი, რომ საქართველოში ომი გაჩაღდეს.²⁵

აღსანიშნავია, რომ იარლიყ: „ომის პარტიის“ აქტიურად გამოყენების კვალდაკვალ, „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა ახალი კონსპირაციის თეორიაც, რომელიც ოპოზიციას გადატრიალების მოწყობის მცდელობაში ადანაშაულებს. მსგავსი მცდელობა რეალურად რომ ყოფილიყო, მისი ინიციატორები დღეს სულ მცირე ბრალდებულები იქნებოდნენ. თუმცა,

²² რადიო თავისუფლება. 2022. კობახიძე: საქართველოში მოქმედებს ომის პარტია. <https://bit.ly/37mXUam>.

²³ ინტერპრესნიუსი. 2022. პრემიერი - სააკაშვილი დღეს ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, დღეს აქ იქნებოდა ომი, აქ მოაწყობდნენ მეორე მარიუპოლს. <https://bit.ly/3y5Ssn2>.

²⁴ ინტერპრესნიუსი. 2022. სოზარ სუბარი „ლელოს“ რეზოლუციის პროექტზე - მამუკა მდინარაძემ მკაფიო განცხადება გააკეთა, რომ „ომის პარტიების“ არც ერთ ინიციატივას საგარეო საკითხებზე არა თუ არ განვიხილავთ, არამედ სერიოზულადაც კი არ მივიღებთ. <https://bit.ly/3Feidar>.

²⁵ ინტერპრესნიუსი. 2022. ნინო ლომჯარიას შეფასებით, ირაკლი კობახიძის განცხადებები „პოლიტიკური, დაუსაბუთებელი და ცილისმწამებლური“ იყო. <https://bit.ly/3OSSHYL>.

ამკარაა, რომ აღნიშნული ბრალდება მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტული გზავნილია, რომლის მიზანაც საზოგადოებაში დაბნეულობის, შიშისა და ოპოზიციის მიმართ ნეგატიური განწყობების გაჩენაა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „როგორ ფიქრობთ, რატომ ჩამოვიდა სააკაშვილი საქართველოში? ის ჩამოვიდა საქართველოში ერთი მიზნით, რომ მოეხდინა დესტაბილიზაცია ქვეყანაში, რევოლუცია, მასობრივი მკვლელობები, მათ შორის, ოპოზიციური ლიდერების მკვლელობები და მომხდარიყო გადატრიალება. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ნიშნავდა ოკუპირებულ ქვეყანაში ახალი ომის დაწყებას. გესმით რამხელა ბინძურ პროვოკაციას ავარიდეთ ყველა?! მე ვიცი, რომ იმედები გავუწიბილე ყველა ვითომ მეგობარს, რომელსაც ჩემს და თქვენს ქვეყანაში სურდა ომი, ჩემი ხალხის მოკვლა და ქვეყნის განადგურება. მე ვპირდები, რომ მათ ყოველთვის გავუწიბილებ იმედებს, არანაირი მეორე ფრონტი და მეორე ომი საქართველოში არ იქნება“²⁶

ირაკლი კობახიძე: სააკაშვილი ჩამოვიდა პირველ რიგში იმისათვის, რომ საქართველოში საარჩევნოდ აეჭრა სიტუაცია და ამ სიტუაციის აჭრის მთავარი მიზანი იყო, ბუნებრივია, ხელისუფლების გადატრიალება და ამ ხელისუფლების გადატრიალების შემდეგ, სააკაშვილი, რომელიც მოდიოდა ხელისუფლებაში თავის პარტნიორებთან ერთად - გახარასა და „ლელოსთან“ ერთად. ის უკვე ერთვებოდა ომში საქართველოს სახელით. ეს იყო ჩვენი ლოგიკური დასკვნებით, ინფორმაციაზე დაყრდნობით ვამბობთ ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ეს იყო დაგეგმილი სცენარი, რაც „ომის პარტიას“ ჩაეშალა. ამ მიზნით შემოვიდა ის საქართველოში, რომ ჯერ აქ აეჭრა სიტუაცია, მოსულიყო სააკაშვილი გახარასთან და ხაზარაძესთან ერთად ხელისუფლებაში და ხელისუფლებაში მყოფი სააკაშვილი ჩართულიყო ომში. 2008 წელს მან თავის მიზნებს ბოლომდე ვერ მიაღწია, მხოლოდ გორში და სენაკში შემოიყვანა რუსული ტანკები და ახლა ეცდებოდა თბილისშიც გვენახა რუსული ტანკები. ეს გეგმა ჩვენ ჩავუშალეთ მას, სახელმწიფო დადგა მოწოდების სიმაღლეზე და სააკაშვილი ჩაჯდა იქ, სადაც იყო მისი ადგილი“²⁷

²⁶ ინტერპრესნიუსი. 2022. პრემიერი - სააკაშვილი დღეს ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, დღეს აქ იქნებოდა ომი, აქ მოაწყობდნენ მეორე მარიუპოლს. <https://bit.ly/3MG5snu>.

²⁷ ინტერპრესნიუსი. 2022. ირაკლი კობახიძე - დაგეგმილი იყო სცენარი: სააკაშვილს საქართველოში ჯერ უნდა აეჭრა სიტუაცია, გახარასა და ხაზარაძესთან ერთად ხელისუფლებაში მოსულიყო, შემდეგ კი, ქვეყანა ომში ჩართულიყო - „ომის პარტიას“ ეს გეგმა ჩვენ ჩავუშალეთ. <https://bit.ly/3MLlnRy>.

მსგავსი გზავნილების სიხშირიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროპაგანდისტული კამპანია უწყვეტად „ბომბავს“ აუდიტორიას, რაც კიდევ უფრო ამსგავსებს მას რუსულ პროპაგანდას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსული პროპაგანდა აქტიურად იყენებს ერთი და იმავე იდეის ან სლოგანის უწყვეტად გამეორების ხერხს, ე.წ. **Ad nauseam ტექნიკას**.²⁸ გარდა ამისა, ზემოხსენებულ განცხადებებში, როცა ე.წ. „ომის პარტიის“ იარლიყს მიკვრა ხდება ისეთ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ჯგუფებზე, რომლებსაც უშუალო კავშირი არ აქვთ „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ხელისუფლება იყენებს პროპაგანდის კიდევ ერთ ხერხს - **განზოგადებას**.²⁹ ასეთ დროს კონკრეტული მოვლენის, სუბიექტის ან იდეის გენერალიზებით მთელი კლასტერის უარყოფითად წარმოჩენა ხდება. მსგავსი სიტუაციაა მაშინ, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ყველა კრიტიკულ აზრს ერთ „ქვაბში ხარშავენ“, ერთიანად მიუღებლად, მტრულად და ვიწრო-პარტიული ინტერესების გამტარებლად წარმოაჩენენ. ფაქტობრივად, არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ იქნება კრიტიკის ავტორი, რომელიმე ოპოზიციური პარტია, სახალხო დამცველი, სამოქალაქო სექტორი თუ მედია.³⁰ ასეთი მიდგომა კარგად აპრობირებულია რუსული პროპაგანდის მიერ, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში მომხდარ ნებისმიერ ნეგატიურ ფაქტს „დასავლური მანკიერების“ მიზეზით ხსნის და ცდილობს ისე წარმოაჩინოს კონკრეტული ნეგატიური მოვლენა, როგორც მთელი საზოგადოების პრობლემა.³¹

პროპაგანდის კიდევ ერთ ხერხი **ბრალმდებლის დადანაშაულებაა**. ლოგიკა, რომლის მიხედვითაც საუკეთესო თავდაცვა - თავდასხმაა. ამ პროცესში ხშირად გამოიყენება აბსურდული ტყუილები და კონსპირაციის თეორიები, რასაც **აღვირახსნილი პროპაგანდის (huckster propaganda)** სახელითაც მოიხსენიებენ.³² ეს მეთოდი კარგად ნაცნობი და არაერთგზის გამოყენებულია რუსული პროპაგანდის მიერ, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღვირახსნილი პროპაგანდის მაგალითია, როცა რუსეთი თავის

²⁸ MillLab. პროპაგანდა. <https://bit.ly/3CTJOr9>.

²⁹ Henry T. Conserva. 2003. Propaganda Techniques. <https://bit.ly/3CHPZhx>.

³⁰ დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2021. საქართველოს ხელისუფლების აგრესიული, პროპაგანდისტული რიტორიკა მედიის მიმართ - ავტორიტარების მიერ გამოცდილი ხერხი ჟურნალისტების დისკრედიტაციისთვის. <https://bit.ly/3w133wQ>.

³¹ Peter Pomerantsev and Michael Weiss. Institute of Modern Russia, The Interpreter. 2014. The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money. <https://bit.ly/3F8r9tV>.

³² Claire Ballentine. Poynter. 2015. The extreme ratings of fact-checkers around the world. <https://bit.ly/3s2WicY>.

სისასტიკეს უკრაინელ მოქალაქეთა მიმართ, უკრაინის არმიას აბრალებს.³³ მსგავსი არაერთი მაგალითიდან შეგვიძლია ასევე გავიხსენოთ რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ 2014 წელს, რომლის დროსაც უკრაინის ტერიტორიაზე მალაიზიის ავიახაზების თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მაშინ რუსეთმა წამოაყენა თავბრუდამხვევი თეორია თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ და ამ ქმედებებში CIA დაადანაშაულა. ასევე, მან დააბრალა უკრაინელ სამხედროებს, თითქოს მათ თვითმფრინავი შეცდომით ჩამოაგდეს, რადგან ის რუსეთის პრეზიდენტის ეგონათ. ამ საინფორმაციო ბურუსმა დაფარა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ცუდად მომზადებულმა მემბოხებმა შემთხვევით ჩამოაგდეს თვითმფრინავი (რომლის ბორტზე 298 ადამიანი იმყოფებოდა) რუსეთის მიერ მიწოდებული რაკეტით.³⁴ ის, რომ თვითმფრინავის ჩამოგდებაში და უდანაშაულო ხალხის სიკვდილში რუსეთის მიერ მხარდაჭერილი მემბოხების კვალი იყო, მოგვიანებით შესაბამისმა გამოძიებამაც დაადასტურა.³⁵

კრიზისულ სიტუაციებში, თავის დაცვის მიზნით, საქართველოს ხელისუფლებაც მსგავსი ტაქტიკით იქცევა. 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენებზე³⁶ (სადაც ფიზიკურად იძალადეს ათობით ჟურნალისტზე, რამდენიმე დღის შემდეგ კი, „TV პირველის“ ნაცემი ოპერატორი გარდაიცვალა) და მთავრობის არასათანადო რეაგირებაზე (როდესაც, მან ვერ ან არ დაიცვა ჟურნალისტები მოძალადე ჯგუფებისგან) საუბრისას, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მართალია, ჟურნალისტებზე ძალადობა მიუღებელია, თუმცა, ჟურნალისტებიც ხშირად ძალადობენ საზოგადოებაზე, ოღონდ ფსიქოლოგიურად. მსგავსი განცხადება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს, კახა კალამეს ეკუთვნის:

„რასაკვირველია, ძალადობა და სიძულვილი კლავს ჩვენს ქვეყანას, მის მომავალს, და ყველა ის ადამიანი, ვინც 5 ივლისს გიმეტებდათ, გირტყამდათ, ძალადობდა, აზიანებდა ქვეყნის განვითარებასა და ჩვენს ხვალისდელ დღეს. ეს დასჯადი ქმედებაა და ეს ყველაფერი სამარცხვინოა... არანაკლები ბოროტებაა ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც, სამწუხაროდ,

³³ ლიკა ხუციბერიძე. FactCheck საქართველო. 2022. დეზინფორმაცია: რუსეთმა გაეროს წარუდგინა კონკრეტული მტკიცებულებები უკრაინის ხელისუფლების მიერ ბუჩაში საკუთარი მოქალაქეების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. <https://bit.ly/3OQuWjX>.

³⁴ Neil MacFarquhar. The New York Times. 2016. Weaponization of information key part of Russian military doctrine. <https://bit.ly/2ZbmCq9>.

³⁵ BBC. 2020. MH17 Ukraine plane crash: What we know. <https://bbc.in/3vA4BgF>.

³⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი. <https://bit.ly/3IW700J>.

მთელი წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს საზოგადოებაში. ხშირად ვისმენთ სხვადასხვა ტელევიზიიდან, ტელეეთერებიდან ადამიანების დამცირებას, ცილისწამებას, მათ ბულინგს, მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა ნიშნის გამო“.³⁷

მსგავსი რიტორიკით უპასუხა პრემიერ-მინისტრმა 5-6 ივლისის მოვლენების შემდგომ მისი გადადგომის მოთხოვნით დაწყებულ აქციებს. მისი თქმით, 11 ივლისს, საქართველოს პარლამენტის წინ მედიის წარმომადგენელთა მიერ ორგანიზებულ აქციაზე ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეკლესიური და მაშასადამე ანტიეროვნული გზავნილები ისმოდა.³⁸

ამასთან, კრიზისული სიტუაციების დროს, სადაც მთავრობის პასუხისმგებლობაც იკვეთება, ხელისუფლება ირჩევს ბრალდებების არა შესაბამისი არგუმენტებით განეიტრალების გზას, არამედ, პროპაგანდისტული გზავნილებით თავს ესხმის ოპონენტებს და იგონებს შეთქმულების თეორიებს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, მმართველმა პარტიამ საზოგადოებას ამცნო არაერთი მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ, რომლებსაც თითქოს ოპოზიცია გეგმავდა. მაგალითად, ასეთია ე.წ. „საბურავების საქმე“, ბრალდებები ამბოხზე „გავრილოვის საქმესთან“ დაკავშირებით, ირაკლი კობახიძის მიერ ნახსენები „ხელისუფლების აყირავების“ გეგმა 2021 წელს და ა.შ.³⁹ სულ ბოლოს კი, ასევე ირაკლი კობახიძის განცხადება⁴⁰ იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილს, გიორგი გახარიასა და მამუკა ხაზარაძეს უნდა მოეწყობათ გადატრიალება, მოსულიყვნენ ხელისუფლებაში და შემდეგ, რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, საქართველოს გაეხსნა მეორე ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ზემოთ აღნიშნული საქმე არ გამოძიებულა, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს არგუმენტს, რომ მსგავსი განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყო გამიზნული.

³⁷ რადიო თავისუფლება. 2021. კახა კალაძემ ძალადობრივი ჯგუფების ქმედებებს შეადარა მედიის მუშაობა. <https://bit.ly/3o3yeW3>.

³⁸ რადიო თავისუფლება. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი: გუშინდელ აქციაზე მოვისმინეთ კლასიკური ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეკლესიური გზავნილები. <https://bit.ly/3LGh8GI>.

³⁹ მალხაზ რეხვიაშვილი. FactCheck საქართველო. 2022. ირაკლი კობახიძე: ბაკურიანში ოპოზიციამ ხელისუფლების დამხობა და გადატრიალება დაგეგმა (ყალბი ამბავი). <https://bit.ly/3LDZ2Fc>.

⁴⁰ ინტერპრესნიუსი. 2022. ირაკლი კობახიძე - დაგეგმილი იყო სცენარი: სააკაშვილს საქართველოში ჯერ უნდა აეჭრა სიტუაცია, გახარიასა და ხაზარაძესთან ერთად ხელისუფლებაში მოსულიყო, შემდეგ კი ქვეყანა ომში ჩართულიყო - „ომის პარტიას“ ჩვენ ეს გეგმა ჩაუშალეთ. <https://bit.ly/3wOKNnt>.

ზემოაღნიშნული მეთოდის მსგავსია პროპაგანდის ტექნიკა **Whataboutism**, რომელიც რთულ საკითხებზე პასუხის გაცემის ნაცვლად ან საპირისპირო ბრალდებებს აყენებს ან აქცენტი სხვა საკითხზე გადააქვს, რაც არასწორი შედარებებისა და მანიპულაციური მორალური მსჯელობების გზით, კრიტიკის ობიექტიდან ყურადღების გადატანას ან/და ამ ობიექტის გამართლებას ცდილობს.⁴¹ ეს ტექნიკა ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის მიერ, ნებისმიერი კრიტიკის პასუხად დასავლეთის პრობლემებზე მითითებით. მსგავსი მიდგომა კვლავ უაღრესად აქტუალურია თანამედროვე რუსეთში.⁴² რუსეთის ფედერაცია, რომელიც ეკონომიკის, ტექნოლოგიების, ცხოვრების დონითა და კეთილდღეობით საგრძნობლად ჩამოუვარდება დასავლეთს⁴³ მუდმივად ცდილობს ევროპისა და აშშ-ის დისკრედიტაციას სხვადასხვა დეზინფორმაციული გზავნილებით.⁴⁴ ეს რუსეთისთვის დამახასიათებელი ნეგატიური პროპაგანდის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც შემდეგ იდეას ასაზრდოებს: „შეიძლება რუსეთში ყველაფერი კარგად არ არის, მაგრამ დასავლეთში უარესია“.

მსგავსი მაგალითები მრავლად მოიპოვება საქართველოს ხელისუფლების საჯარო კომუნიკაციაშიც. იგივე 5-6 ივლისის მოვლენების დროს, როცა ხელისუფლებას პასუხი მოსთხოვეს იმაზე, თუ რატომ ვერ დაიცვა მან ჟურნალისტები ძალადობისგან, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის პასუხი იყო:

„თქვენი ხელისუფლების დროს სახელმწიფო იყო მოძალადე. თქვენ წარმოადგენთ „ნაცმოდრობას“... თქვენ ყველანი. სააკაშვილის დროს სახელმწიფო იყო მოძალადე, როგორც ტელევიზიაზე, ასევე ბიზნესზე, მოქალაქეზე, ყველაზე. ქუჩაში თუ რაღაც ჩხუბი მოხდა, ეს სახელმწიფომ აღკვეთა და ყველა მოძალადე დაიჭირა. ეს არის მთავარი“.⁴⁵

ირაკლი კობახიძე: „ის რაც მოხდა 5 ივლისს, ყველასათვის მძიმეა... იყო ძალადობის არაერთი შემთხვევა, მათ შორის ჟურნალისტების მიმართ, რაც არ მომხდარა არასდროს ასეთი

⁴¹ MillLab. პროპაგანდა. <https://bit.ly/3MHPzgi>.

⁴² Alex Leonor. EUROMAIDAN PRESS. 2016. A guide to Russian propaganda. Part 2: Whataboutism. <https://bit.ly/3LFUw9s>.

⁴³ The Economist. 2022. Russian are fewer, poorer and more miserable than a decade ago. <https://econ.st/38lmzGH>.

⁴⁴ Chatham House. 2021. Myths and misconceptions in the debate on Russia. <https://bit.ly/3KAUY7i>.

⁴⁵ რუსთავი 2. 2021. თქვენ ახლა ძალადობთ ჩემზე, ეს არის ძალადობა და აგრესია, თქვენ ხართ ჩვეულებრივი პარტიული აქტივისტი - ღარიბაშვილი „ფორმულას“ ჟურნალისტს დაუპირისპირდა. <https://bit.ly/3kvUlfv>.

ტიპის შეკრებების დროს. ჩვენ გვახსოვს მძიმე ძალადობა ჟურნალისტებზე, წინა ხელისუფლების პირობებში. მაგალითად „იმედის“ დარბევის დროს, სხვა შემთხვევებში, მაგრამ რაც შეეხება ასეთი ტიპის ძალადობას, როდესაც შეკრების მონაწილეები ძალადობენ ჟურნალისტებზე, ასეთი რამ არ ყოფილა და არ მომხდარა საქართველოში. ამის გამოც იყო ძნელად პროგნოზირებადი პოლიციისთვის ამ შემთხვევაში ასეთი ქმედებები და შესაბამისად რეაგირება ასეთ ფაქტებზე გართულდა“.⁴⁶

როგორც ვიცით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მედია მართლაც არაერთხელ გამხდარა შევიწროების მსხვერპლი, თუმცა, 2021 წელს, საკუთარი ქმედებებისა თუ უმოქმედობის ამ არგუმენტით გამართლება სწორედ პროპაგანდის ერთ-ერთი ხერხია. ხელისუფლება ასეთ რიტორიკას არაერთ სხვა პრობლემასთან მიმართებით იყენებს. მაგალითად, მიმდინარე წელს საწვავზე ფასების სწრაფი ზრდისა და ამის გამო დაწყებული საპროტესტო გამოსვლების შესახებ საუბრისას.

ირაკლი ღარიბაშვილი: „სხვადასხვა ჯგუფმა შედარებით იაფიანი საწვავის შემოტანა დაიწყო; ყველას უნდა მიეცეს საშუალება, შემოიტანოს ნავთობი და საწვავი... მინდა, შევახსენო ჩვენს მოქალაქეებს, რომ წინა ხელისუფლების დროს პრაქტიკულად რამდენიმე ჯგუფი არსებობდა ბაზარზე, ერთი ჯგუფის ხელში იყო მონოპოლიზებული და ისინი კარნახობდნენ, იძლეოდნენ დირექტივებს ყველა იმპორტიორის მიმართ. ეს იყო თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის და სააკაშვილის ხელში. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მინდა ყველას შევახსენო, რომ რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია, რამდენიმე ათეული შემომტანი გაჩნდა ბაზარზე. ჩამოყალიბდნენ მსხვილი ჯგუფებიც, იმიტომ, რომ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციაა და სახელმწიფო უხეშად, ზედმეტად არ ერევა ფასების რეგულირებაში“.⁴⁷

საზოგადოებასთან მსგავსი ტიპის კომუნიკაციად შეიძლება ჩაითვალოს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიები, განსაკუთრებით ბოლო წლებში. სახელისუფლებო პარტიის პასუხი ეკონომიკურ პრობლემებზე, სასამართლო სისტემის ხარვეზებზე თუ სხვა

⁴⁶ იმედი ნიუსი. 2021. ირაკლი კობახიძე 5 ივლისის მოვლენებზე: ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რომ გამოძიებული და შესწავლილი იყოს ყველაფერი რაც უკავშირდება ამ ძალადობას. <https://bit.ly/3OPHHev>.

⁴⁷ გიორგი თოლორდავა. BM.ge. 2022. წინა ხელისუფლების დროს ნავთობის იმპორტი ერთი ჯგუფის ხელში იყო მონოპოლიზებული - ღარიბაშვილი. <https://bit.ly/3FcsKyA>.

მწვავე საკითხებზე არის ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნისას უარესი სიტუაცია იყო და საზოგადოების მთავარ საზრუნავს სწორედ ამ ოპოზიციური პარტიის ხელისუფლებაში დაბრუნების პრევენცია უნდა წარმოადგენდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული ოცნების“ ძირითადი რიტორიკა დაფუძნებულია არა მომავლის ხედვებზე, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებაზე. ამას ადასტურებს ისიც, რომ საარჩევნო პროგრამისა და დაპირებების ნაცვლად, სახელისუფლებო პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაც (განსაკუთრებით ბოლო წლებში) ძირითადად ნეგატიურ, შინაარსისგან დაცლილ გზავნილებზეა⁴⁸ აგებული.⁴⁹ ამ მიდგომის კიდევ ერთი დადასტურებაა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო სლოგანი (მაგ. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, სადაც მმართველ პარტიას გასამარჯვებლად ძალების სრული მობილიზება დასჭირდა.⁵⁰ ისევე როგორც 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში⁵¹) „არა ნაცებს! არა ბოროტებას!“. ამ სლოგანის პროპაგანდისტულ ხასიათს განსაკუთრებით კარგად წარმოაჩენს 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის გავრცელებული პოსტერები, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედი და ყოფილი ლიდერების ფოტოებს, „ქართული ოცნების“ ყოფილი ლიდერის და პრემიერის, გიორგი გახარიას ფოტოც დაემატა. თავად სლოგანი კი, შემდეგნაირად გადაკეთდა: „არა ნაცებს! არა ბოროტებას! არა ღალატს!“.⁵² როგორც აღვნიშნეთ, ისევე როგორც რუსული პროპაგანდის შემთხვევაში, მსგავსი გზავნილების გამოყენება მაშინ ხდება საჭირო, როდესაც საზოგადოებას სიახლეებს და პოზიტიურ ცვლილებებს ვეღარ სთავაზობ.

პროპაგანდის კიდევ ერთი ხერხი ე.წ. **ჩაბმის მიდგომა (bandwagon approach)** გულისხმობს შემდეგი ცნების გამოყენებას: „ყველა აკეთებს ამას“. ის საზოგადოების წევრებს მოუწოდებს მიეტმასნონ ამა თუ იმ ჯგუფს და მიჰყვნენ ბრბოს ქცევებს. ხშირად, საქართველოს ხელისუფლების წევრებიც ცდილობენ მიეტმასნონ სარწმუნოებასა თუ ტრადიციებს. ამ

⁴⁸ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). 2021. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში. <https://bit.ly/3s8VuTD>.

⁴⁹ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). 2021. 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში. <https://bit.ly/39s4psV>.

⁵⁰ ტაბულა. 2018. „არა ნაცებს, არა ბოროტებას“ - თბილისში ახალი ბანერები გამოჩნდა. <https://bit.ly/3s727WC>.

⁵¹ რადიო თავისუფლება. 2021. ბანერებში დაკარგულები - როცა არავინ არაფერი იცის? <https://bit.ly/3yqWGe7>.

⁵² იგივე. <https://bit.ly/3ORfjIV>.

კუთხით, გამოსაყოფია ხელისუფლების განცხადებები 5-6 ივლისის მოვლენებზე, როცა ლგბტქ+ ჯგუფების მიერ დაანონსებულ „ღირსების მარშს“, საზოგადოების მცირე ჯგუფის მხრიდან მოჰყვა კონტრ-აქცია და ჟურნალისტებზე ძალადობა. ამ მოვლენებამდე და მის შემდეგაც, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები აცხადებდნენ, რომ ლგბტქ+ თემი არ უნდა შეკრებილიყო რუსთაველის გამზირზე, რადგან ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ეკლესიას და მოსახლეობის უმრავლესობის ნებას.

მაგალითად, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „*როდესაც ჩვენი მოსახლეობის 95% არის წინააღმდეგი, დემონსტრაციულად პროპაგანდისტული მარშის თუ ალუმის ჩატარების, ამას ყველანი უნდა დავემორჩილოთ. ეს არის ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრი და ჩვენ, როგორც ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, ვართ იძულებული, რომ ამას ანგარიში გავუწიოთ, ამას ყოველთვის გავუწევთ ანგარიშს, ისე აღარ იქნება როცა უმცირესობა წყვეტდა ყოველთვის უმრავლესობის ბედს, როცა ძალადობრივი ხელწერით ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებდნენ საქართველოში*“.⁵³

თუმცა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ საზოგადოების სახელით საუბრისას პრემიერი შესაძლოა ცდებოდა, რადგან მოსახლეობის 95% სულაც არ ყოფილა ამ მარშის ჩატარების წინააღმდეგი. მეტიც, გამოკითხულთა 73%-ის აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმცირესობების შეკრების თავისუფლება და მათი უსაფრთხოება.⁵⁴

მსგავსი მიდგომა არაერთხელ გამოყენებულა სხვადასხვა ტიპის კრიზისის დროს, მაშინ, როცა ხელისუფლების მისამართით მწვავე კრიტიკა ისმოდა. ასეთ დროს მმართველი გუნდის წევრები ცდილობენ მიეტმასნონ ე.წ. „უმრავლესობას“, „ხალხის ნებას“, ეკლესიას, რომელიც დღესდღეობით ქვეყნის ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტია და ა.შ. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ირაკლი ღარიბაშვილის კიდევ ერთი განცხადება:

„ტვ პირველის“ ეთერში ამაზრზენი და ანტისახელმწიფოებრივი გადაცემები გავიდა, სადაც პირდაპირი შეტევა განხორციელდა ჩვენს პატრიარქსა და ეკლესიაზე, ეს არის პირდაპირი მტრობა სახელმწიფოს და ჩვენი ეკლესიის... ეს არის თქვენი იდეოლოგიის ბრალი.

⁵³ რადიო თავისუფლება. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი: როცა 95% მარშის ჩატარების წინააღმდეგია ყველა უნდა დაემორჩილოს. <https://bit.ly/39xp4IT>.

⁵⁴ რადიო თავისუფლება. 2021. მოსახლეობის 73%-ის აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრაიდის მონაწილეთა უსაფრთხოება - „ედისონ რისერჩი“. <https://bit.ly/2W6kGxk>.

თქვენი არა [მიმართავს ჟურნალისტს], ამ შემთხვევაში იმ ტელევიზიის, იმ დამფინანსებლების და იმ მთავარი იდეოლოგიების, რომლებიც ამ ტელევიზიის უკან დგანან. თქვენი ტელევიზია ფინანსდება პირდაპირ „ნაციონალური“ მიერ და მთელი ის პოლიტიკა, რომელიც იმართება, არის ანტისახელმწიფოებრივი“.⁵⁵

„ხალხის ნების“, „ტრადიციული ღირებულებების დაცვისა“ თუ „ეკლესიის დამცველის“ სახელით სწორედ რუსული პროპაგანდა პოზიციონირებს. ის დასავლეთს ყველა ზემოთ ჩამოთვლილის მტრად ხატავს, ხოლო საკუთარ თავს ამ ღირებულებათა დამცველად წარმოაჩენს, რითაც ქმნის მცდარ, ალტერნატიულ რეალობაზე დაფუძნებულ წარმოდგენებს სამიზნე აუდიტორიაში. ის ასევე თესავს უსაფუძვლო შიშს იმის შესახებ, რომ ტრადიციებს და რწმენას ებრძვიან და მათ რუსეთზე უკეთ ვერაზინ დაიცავს.⁵⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსული პროპაგანდის მარტივი გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ მისი გამავრცელებელი ბევრს არ ფიქრობს გზავნილების ერთგვაროვნებაზე და მხოლოდ საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებს. ასეთ დროს კი, შესაძლებელია ერთ დღეს ამტკიცებდე ერთს, ხოლო მეორე დღეს აბსოლუტურად საპირისპიროს. ინფორმაციის ულევ ნაკადში ძველი ინფორმაცია იმდენად სწრაფად იკარგება, რომ პროპაგანდის გამავრცელებელს რადიკალურად განსხვავებული ახალი პოზიციის დაჭერის არ ეშინია. მეტიც, რუსული პროპაგანდა არც ცდილობს „თავისი სიმართლის“ მტკიცებას და როგორც პომერანცევი და ვაისი წერდნენ,⁵⁷ მისი ეფექტი არ არის დარწმუნება ან ნდობის მოპოვება, არამედ, მისი მიზანია, შეთქმულების თეორიებით დათესოს დაბნეულობა და გაავრცელოს სიცრუე. ასევე, არ დატოვოს თუნდაც ერთი სივრცე ან თემა სადაც საზოგადოება კონსოლიდაციას მოახერხებს.

ზემოთ ნახსენებ მიდგომას აშკარად ჰგავს საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მოსახლეობასთან (განსაკუთრებით კი საკუთარ ამომრჩეველთან) კომუნიკაცია არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდებში. 2013 წლიდან მოყოლებული პარტია „ქართული ოცნება“

⁵⁵ იმედი ნიუსი. 2021. ირაკლი დარიბაშვილი: „ტვ პირველი“ ფინანსდება პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ და მთელი ის პოლიტიკა, რომელიც იმართება, არის არასახელმწიფოებრივი. <https://bit.ly/3jPpJug>.

⁵⁶ Peter Pomerantsev and Michael Weiss. Institute of Modern Russia, The Interpreter. 2014. The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money. <https://bit.ly/3FhVq9B>.

⁵⁷ იგივე. <https://bit.ly/3LDKqOM>.

აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დასრულებულია და მისი, როგორც ოპოზიციური პარტიის გავლენა მინიმალურია. თუმცა, ყოველი ახალი არჩევნების წინ, „ქართული ოცნების“ ფაქტობრივად სრული კამპანია აგებულია იმაზე, თუ როგორი საშიშია „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება. აღნიშნული კამპანია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხასიათდება მძიმე, ნეგატიური ტერმინებით, როგორცაა „მკვლელები“, „მოღალატეები“ და ა.შ. შედეგად, იქმნება ნარატივი, რომ მოახლოებულ არჩევნებში მნიშვნელოვანია არა სამომავლო იდეები და განვითარების პერსპექტივები, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ „დასრულება“. აქვე აღსანიშნავია, რომ „დასასრულებელთა“ სიას აუცილებლად ემატება ახალი ოპოზიციური პარტიებიც და სახელისუფლებო პროპაგანდა მათ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაიგივებას ცდილობს. ხელისუფლების ამ მიდგომის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითიც გამოდგება.

კახა კალაძე (2015 წელი): „... არჩევნების წელი მოდის და პოლიტიკურად გაკოტრებული პარტიები, პოლიტიკოსები შეეცდებიან, რომ მოსახლეობას რაღაცით შეახსენონ თავი“.⁵⁸

ბიძინა ივანიშვილი (2016 წელი): „ჭორებს ყრიან ისევ თვითონ [„ნაციონალური მოძრაობა“], თუმცა კარგად იციან, რომ არანაირი შანსი არ აქვთ, რაიმე სერიოზული შედეგი მიიღონ - 46 კაცი ჰყავდათ პარლამენტში და შეიძლება 10 კაცი შეიყვანონ. გარწმუნებთ, არაფერი არ იქნება, მაგრამ თუ მაინც ხელი წაუცდა ვინმეს, ძალიან ცუდ შედეგს მიიღებენ. თუ ეს ბრიყვული ჯგუფი გაბედავს, რომ რამე პროვოკაცია გაბედოს, თავადვე მიიღებს მძიმე შედეგს და დაილუპავს თავს... ოთხი საქმეა სააკაშვილზე, ძებნაშია, წასასვლელი არ აქვს და ხავსს ეჭიდება. მოვუწოდებ, კანონს დაემორჩილონ და საკუთარ ქვეყანას პატივი მიაგონ. 99,9%-ით გეუბნებით, რომ არაფერი არ მოხდება და ისე იდეალურად წავა არჩევნები, როგორც ახლა მიმდინარეობს“.⁵⁹

⁵⁸ Civil.ge. 2015. ენერგეტიკის მინისტრი რუსული გაზის შეძენის საჭიროებაზე საუბრობს. <https://bit.ly/3vpMLxo>.

⁵⁹ Ivote.ge. 2016. ბიძინა ივანიშვილი - მაქვს ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილს სთხოვენ, არჩევნების შემდეგ უკრაინა დატოვოს. <https://bit.ly/3JTMV5o>.

კახა კალაძე (2018 წელი): „ნაციონალური მოძრაობა“ არის გაკოტრებული პოლიტიკური პარტია“.⁶⁰

მიუხედავად ამ განცხადებებისა, „ქართული ოცნების“ მმართველობის ცხრა წლის თავზე, 2021 წლის არჩევნების წინ, მთავარ ამოცანად ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ „დასრულება“ სახელდება.⁶¹ „ნაცობა სირცხვილია! დავამთავროთ ნაცები!“ - ამ სლოგანით ვიდეოკლიპი „ქართული ოცნების“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე 2021 წლის 18 ოქტომბერს გამოქვეყნდა.⁶² იმავე დღეს, მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ განაცხადა:

„ჩვენ უნდა გამოვრიცხოთ მაქსიმალურად რისკი, რომ ერთ მუნიციპალიტეტში მაინც ჩვენმა ოპონენტმა მიალწიოს რაიმე წარმატებას. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ეს იქნება რაღაც რევოლუციური შტაბი და ისინი ამ ერთი გამარჯვებით (ეს არ უნდა დავუშვათ, მაგრამ), ჰიპოთეტურად, პირობითად ვამბობ, ისინი მოაწყობენ, რაღაც რევოლუციურ მუნიციპალიტეტს და ეს არ იქნება საქმეზე ორიენტირებული საზოგადოების საჭიროებებზე“.⁶³

თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინ რიტორიკა შეცვალა თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემაც. თუკი პირველი ტურის წინ „ევროპული სტილის, მომავალზე ორიენტირებული საარჩევნო კამპანიით“ და ქალაქის განვითარების სამომავლო გეგმების წარმოჩენით ურთიერთობდა ამომრჩეველთან, მოგვიანებით ისიც წინა ხელისუფლების დროს არსებულ პრობლემებზე ალაპარაკდა:

„სამწუხაროდ, დღეს კიდევ ერთხელ გვიწევს შევახსენოთ ყველას - როგორ ხდებოდა მოქალაქეების ღირსების შელახვა, ძალადობა, ტერორი, საკუთრების ხელყოფა, უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელობა, სიტყვის თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა, მედიის დარბევა, ცინიზმი, ტყუილი, რეკეტი - ეს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ქალაქის ის ბნელი წარსულია,

⁶⁰ ინფო 9. 2018. კახა კალაძე: „ნაციონალური მოძრაობა“ არის გაკოტრებული პოლიტიკური პარტია. <https://bit.ly/3rzQNSI>.

⁶¹ ლელა კუნჭულია. რადიო თავისუფლება. 2021. სიძულვილი, ზიზღი, დაძაბულობა, ცვლილებები, დაპირებები - პოლიტიკური ველი მეორე ტურის წინ. <https://bit.ly/3OUyUYS>.

⁶² „ქართული ოცნების“ ფეისბუქის გვერდი. 2021. #ნაცობასირცხვილია. <https://bit.ly/3OWun83>.

⁶³ რადიო თავისუფლება. 2021. მდინარაძის თქმით, თუნდაც ერთ მუნიციპალიტეტში გამარჯვების შემთხვევაში ენმ მოაწყობს რევოლუციურ შტაბს. <https://bit.ly/3KIH8QD>.

რომელსაც არასდროს, არასდროს დავუბრუნდებით. თუმცა, არც უნდა დავივიწყოთ, რომ ვიცოდეთ - რა გზა გამოვიარეთ და რა შეცდომები დავუშვით“ - განაცხადა კალაძემ.⁶⁴

დასკვნა

დოკუმენტში მიმოხილულია პროპაგანდის დარწმუნების ტექნიკები: *ნეგატიური იარლიყების მიკვრა (name calling)* არასასურველი სუბიექტებისა და ჯგუფების მიმართ და ამ გზით ე.წ. მტრის ხატის შექმნა; *Ad nauseam ტექნიკა*, რომელიც ერთი და იგივე სლოგანის ან იდეის უწყვეტ გამეორებას გულისხმობს და ცდილობს, საზოგადოებას ერთი შეხედვით ყველაზე დაუჯერებელი ტყუილიც კი დააჯეროს; *განზოგადების ტექნიკა*, რომლის დროსაც კონკრეტული მოვლენის, სუბიექტის ან იდეის გენერალიზებით მთელი კლასტერის უარყოფითად წარმოჩენა ხდება; *ბრალმდებლის დადანაშაულება* - ლოგიკა, რომლის მიხედვითაც საუკეთესო თავდაცვა - თავდასხმაა და ამ პროცესში გამოიყენება აბსურდული ტყუილები და კონსპირაციის თეორიები, რასაც *ადვირახსნილი პროპაგანდის (huckster propaganda)* სახელითაც მოიხეიბებენ; *Whataboutism* ტექნიკა, რომელიც რთულ საკითხებზე პასუხის გაცემის ნაცვლად ან საპირისპირო ბრალდებებს აყენებს ან აქცენტი სხვა საკითხზე გადააქვს, რათა სამართლიანი კრიტიკა თავიდან აიცილოს; ე.წ. *ჩაბმის მიდგომა (bandwagon approach)*, რომელიც გულისხმობს შემდეგი ცნების გამოყენებას: „ყველა აკეთებს ამას“. ის ასევე საზოგადოების წევრებს მოუწოდებს მიეტმასნონ ამა თუ იმ ჯგუფს და მიჰყვნენ ბრბოს ქცევებს; *არათანმიმდევრულობა პოზიციებში*, რომლის დროსაც გამავრცელებელი ბევრს არ ფიქრობს გზავნილების ერთგვაროვნებაზე და მხოლოდ პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებს. ასეთ დროს კი, შესაძლებელია ერთ დღეს ამტკიცებდე ერთს, ხოლო მეორე დღეს აბსოლუტურად საპირისპიროს.

თეორიული მასალის ანალიზისა და პრაქტიკული მაგალითების შეჯერების შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსული პროპაგანდა კარგად იყენებს ყველა ზემოაღნიშნულ ხერხს. ამასთან, ის, ფაქტობრივად, სრულად ნეგატიურ დღის წესრიგზეა აგებული. მისი მიზანი არა საზოგადოების საკუთარ სიმართლეში დარწმუნება, არამედ მათი „ტვინების გამორეცხვა“,

⁶⁴ კანა კალაძის ფეისბუქ გვერდი. 2021. მოდი არჩევნებზე - გამარჯვება მივიყვანოთ ბოლომდე!
<https://bit.ly/3w25v6q>.

შიშის და დაბნეულობის დათესვაა. ის ქმნის მტრის ხატს დასავლური დემოკრატიების სახით და ავრცელებს აბსურდულ ტყუილებს საკუთარი არაჰუმანური ქმედებების გადასაფარად. რუსული პროპაგანდა უწყვეტად „ბომბავს“ სამიზნე აუდიტორიას მანიპულაციური გზავნილებით და განსაკუთრებით აქტიურია კრიზისების დროს.

როგორც დოკუმენტში მოცემულმა არაერთმა მაგალითმა აჩვენა, საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა სულ უფრო ემსგავსება რუსულ პროპაგანდას. ისიც, დიდწილად, აგებულია ნეგატიურ დღის წესრიგზე, ქმნის მტრის ხატებს და საკუთარი გადაცდომების გადასაფარად არაერთ შეთქმულების თეორიას ავრცელებს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კამპანიები განსაკუთრებით აქტიურდება წინასაარჩევნო პერიოდებში, ასევე სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისის დროს. „ქართული ოცნება“ ოპონენტებისთვის სხვადასხვა იარაღების მიწებებით მის დისკრედიტაციას ცდილობს. ამის თვალსაჩინო მაგალითია იარაღი „ომის პარტია“, რომელიც თავდაპირველად „ნაციონალური მოძრაობას“ მოიაზრებდა, თუმცა მას ხშირად იყენებენ სხვა ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგაც. ამასთან, „ომის პარტიის“ მხარდამჭერად მოიხსენიებენ სახალხო დამცველს, მედიას და, ფაქტობრივად, ყველა იმ აქტორს, ვინც ხელისუფლებას აკრიტიკებს. წლების განმავლობაში ხელისუფლება თესავს შიშს, რომ ოპოზიციური პარტიები ქვეყანაში გადატრიალებას აწყობენ. მაგალითად, ე.წ. „საბურავების საქმე“, ბრალდებები ამბოხზე „გავრილოვის საქმესთან“ დაკავშირებით, ირაკლი კობახიძის მიერ ნახსენები „ხელისუფლების აყირავების გეგმა“ 2021 წელს, რუსეთ-უკრაინის ომის დროს „საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის გეგმა“ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ზემოთ აღნიშნული საქმე არ გამოძიებულა, რაც ამყარებს არგუმენტს, რომ მსგავსი განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყო გამოყენებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „ქართული ოცნება“ იყენებს კონტრბრალდებების ტექნიკას მაშინ, როცა თავად კრიტიკის ობიექტი ხდება და ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე საუბრის ნაცვლად წინა ხელისუფლების მანკიერებებს გვახსენებს. ქვეყანაში არსებულ სიღარიბეზე, მართლმსაჯულების პრობლემებზე, ჟურნალისტების უსაფრთხოებაზე თუ საწვავის ფასებზე, „ქართული ოცნების“ რიტორიკაში კვლავ წინა ხელისუფლების დროს არსებული პრობლემები ფიგურირებს. ამასთან, უკვე მეათე წელია, „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს პროპაგანდისტული ნარატივით კვებავს, როცა ერთი მხრივ, ეუბნება, რომ „ნაციონალური

მოდრაობა“ პოლიტიკურად „გაკოტრებული“ პარტიაა, ხოლო, მეორე მხრივ, ყოველი არჩევნების წინ, ქვეყნის სტრატეგიულ მიზნად „ნაციონალური მოძრაობის“ „დასრულებას“ ასახელებს.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლების საჯარო კომუნიკაცია, რომელიც ოპონენტების და ზოგადად, კრიტიკული აზრის მქონე ადამიანების მიმართ უმძიმეს ბრალდებებს, მოსახლეობაში უსაფუძვლო შიშების გაღვივებას, საზოგადოების განწყობებით მანიპულირებასა და ნეგატიური დღის წესრიგის დადგენას გულისხმობს, არაჯანსაღი და საფრთხისშემცველია. მსგავსი კომუნიკაცია, ისევე როგორც რუსული პროპაგანდა, საზოგადოების გახლეჩასა და დეზორიენტაციას უწყობს ხელს.